



2023 წ.

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიური მიმოხილვა (იანვარ-ნოემბერი)

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge



საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, თბილისი, 2023 წ.




2023 წლის იანვარ-ნოემბერში:

- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა **20,177.3 მლნ ლარი** შეადგინა, რაც წლიური გეგმის 91.0%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ძირითადი წილი, 75.9%-ის ოდენობით, მოდის **საგადასახადო შემოსავლებზე**, რომელიც, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად შემოსულობებში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა **19,620.6 მლნ ლარი** შეადგინა, რაც წლიური გეგმის 87.9%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ძირითადი წილი, 76.6%-ის ოდენობით, მოდის **ხარჯებზე**, რომელიც, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით, ხოლო წილობრივად გადასახდელებში გაზრდილია 2021 წელთან შედარებით და შემცირებულია 2022 წელთან შედარებით;
- სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის დაგროვებამ **556.6 მლნ ლარი** შეადგინა და 2023 წლის 1 დეკემბრისთვის - **1,804.1 მლნ ლარის** ოდენობით განისაზღვრა.

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით¹ შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 22,170.9 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელების წლიური გეგმა - 22,311.3 მლნ ლარის ოდენობით. 2023 წლის იანვარ-ნოემბერში შემოსულობების შესრულება შეადგენს 20,177.3 მლნ ლარს (წლიური გეგმის 91.0%) და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2,742.2 მლნ ლარით (15.7%-ით) აღემატება, ხოლო გადასახდელების შესრულება - 19,620.6 მლნ ლარს (წლიური გეგმის 87.9%) და 2,681.8 მლნ ლარით (15.8%-ით) მეტია წინა წლის იანვარ-ნოემბრის მაჩვენებელთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების წლიური გეგმებისა და 11 თვის შესრულების მაჩვენებლები.



დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების 11 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით 2014-2023 წლებში (მლრდ ლარი, %).

რაც შეეხება შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, წლიური გეგმის მიმართ კარგი შესრულებით ხასიათდება შემოსავლებისა (92.5%) და ვალდებულებების ზრდის (89.5%) კომპონენტები, ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტები გამოირჩევა შედარებით დაბალი შესრულების დონით (შესაბამისად, 52.8% და 58.7%).

გადასახდელების ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების, შესრულების მაჩვენებელი წლიური გეგმის 89.0%-ს უტოლდება. კარგი შესრულების დონით ხასიათდება, ასევე, ვალდებულებების კლების კომპონენტი, 89.0%-ის ოდენობით, ხოლო შედარებით დაბალი შესრულების დონით ხასიათდება დანარჩენი კომპონენტების შესრულება. კერძოდ, არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულებამ წლიური გეგმის 84.8% შეადგინა, ხოლო ფინანსური აქტივების ზრდის შესრულებამ - წლიური გეგმის 70.8%.


¹ 2023 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საქართველოს კანონი „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

დასახელება	2023 წლის გეგმა	11 თვის შესრულება	% წლიურ გეგმასთან	დასახელება	2023 წლის გეგმა	11 თვის შესრულება	% წლიურ გეგმასთან
შემოსულობები	22,170.9	20,177.3	91.0%	გადასახდელები	22,311.3	19,620.6	87.9%
შემოსავლები	18,239.9	16,870.2	92.5%	ხარჯები	16,899.9	15,032.7	89.0%
არაფინანსური აქტივების კლება	200.0	105.7	52.8%	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,955.7	3,354.4	84.8%
ფინანსური აქტივების კლება	450.0	264.0	58.7%	ფინანსური აქტივების ზრდა	337.2	238.6	70.8%
ვალდებულებების ზრდა	3,281.0	2,937.4	89.5%	ვალდებულებების კლება	1,118.5	994.9	89.0%

ცხრილი 1: 2023 წლის 11 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შესრულება კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %).

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ² 11 თვეში შეადგინა 1,837.5 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ³ - -1,411.2 მლნ ლარი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლების 11 თვის საოპერაციო სალდოს და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

2014-2023 წლების 11 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო



დიაგრამა 2: 2014-2023 წლების 11 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო (მლნ ლარი)

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,247.5 მლნ ლარი. იანვარ-ნოემბერში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით ნაშთის დაგროვებამ 556.6 მლნ ლარი შეადგინა და 2023 წლის 1 დეკემბრისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი განისაზღვრა 1,804.1 მლნ ლარის ოდენობით.

² საოპერაციო სალდო წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას. იგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სიდიდე.


³ მთლიანი სალდო წარმოადგენს საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება და გვიჩვენებს ბიუჯეტის პროფიციტის (დადებითი სიდიდე) ან დეფიციტის (უარყოფითი სიდიდე) მოცულობას.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ნომბრის თვის მაჩვენებლები

2023 წლის ნომბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 1,818.0 მლნ ლარი, რაც ოქტომბრის მაჩვენებელზე 89.3 მლნ ლარით ნაკლებია, ხოლო წინა წლის ნომბრის მაჩვენებელს 187.5 მლნ ლარით აღემატება. რაც შეეხება 2023 წლის ნომბერში სახელმწიფო ბიუჯეტიდან განეულ გადასახდელებს, მისი ოდენობა შეადგენს 1,946.1 მლნ ლარს, რაც ოქტომბრის მაჩვენებელზე 40.8 მლნ ლარით მეტია, ხოლო 2022 წლის ნომბრის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 188.6 მლნ ლარით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით




დიაგრამა 3: სახელმწიფო ბიუჯეტო შემოსულობები და გადასახდელები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება ნომბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით:


შემოსულობების ფორმირება ძირითადად განხორციელდა შემოსავლებისა (81.1%) და ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრების (17.3%) ხარჯზე. ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელმა შეადგინა 28.4 მლნ ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ იქნა 2.1 მლნ ლარი.

შემოსულობები კომპონენტების მიხედვით



დიაგრამა 4: შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

გადასახდელები კომპონენტების მიხედვით




დიაგრამა 5: გადასახდელები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

2023 წლის ნომბერში ხარჯების მაჩვენებელმა 1,442.4 მლნ ლარი შეადგინა, არაფინანსური აქტივებისა და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელები, შესაბამისად - 382.7 მლნ ლარს და 8.2 მლნ ლარს, ხოლო ვალდებულებების კლების მაჩვენებელი 112.8 მლნ ლარს გაუტოლდა.


შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების მიმოხილვა, რაზეც ნოემბერში მიღებული შემოსავლების 94.4%, ხოლო მთლიანი შემოსულობების 76.5% მოდის. კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 1,390.7

გადასახადები სახეობის მიხედვით



დიაგრამა 6: გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი სახეობის მიხედვით (მლნ ლარი)

ხარჯები სახეობის მიხედვით



დიაგრამა 7: გაწეული ხარჯები სახეობის მიხედვით (მლნ ლარი)

მლნ ლარი, ოქტომბრის მაჩვენებელზე (1,569.2 მლნ ლარი) 178.6 მლნ ლარით ნაკლები, რაც ძირითადად უკავშირდება სხვა გადასახადის მნიშვნელოვან (105.0 მლნ ლარით) შემცირებას. წინა თვესთან შედარებით, შემოსავალი ყველა დანარჩენი გადასახადიდან, გარდა საშემოსავლო გადასახადისა (რომელიც გაზრდილია 5.6 მლნ ლარით), ასევე, შემცირებულია: დღგ - 52.4 მლნ ლარით, აქციზი - 22.6 მლნ ლარით (იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის 21.5 მლნ ლარით შემცირების გავლენით), მოგების გადასახადი - 3.2 მლნ ლარით, ხოლო იმპორტის გადასახადი - 1.0 მლნ ლარით.

რაც შეეხება გადასახდელების ყველაზე დიდ კომპონენტს, ხარჯებს, იგი ნოემბერში გაწეული მთლიანი გადასახდელების 74.1%-ს შეადგენს. კერძოდ, ხარჯებმა ნოემბერში შეადგინა 1,442.4 მლნ ლარი, წინა თვის მაჩვენებელზე (1,489.4 მლნ ლარი) 46.9 მლნ ლარით (3.2%-ით) ნაკლები, რაც უკავშირდება გრანტების (25.3 მლნ ლარით), სხვა ხარჯების (23.4 მლნ ლარით), საქონლისა და მომსახურების (9.7 მლნ ლარით) და სუბსიდიების (3.5 მლნ ლარით) მუხლებით ხარჯების კლებას. დანარჩენი სახის ხარჯები მომატებულია, კერძოდ: სოციალური უზრუნველყოფა - 13.4 მლნ ლარით, შრომის ანაზღაურება - 1.4 მლნ ლარით, ხოლო პროცენტის დანახარჯები თითქმის უტოლდება წინა თვის მაჩვენებელს (0.1 მლნ ლარით აღემატება).


რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2023 წლის ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა 31.5 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - (-349.1) მლნ ლარი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ნოემბერში მიღებული შემოსულობებისა (1,818.0 მლნ ლარი) და გაწეული გადასახდელების (1,946.1 მლნ ლარი) გათვალისწინებით, ნოემბრის თვეში ნაშთის გამოყენებამ შეადგინა 128.1 მლნ ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2023 წლის იანვარ-ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებელი 20,177.3 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 83.6%-ის ოდენობით, მოდის შემოსავლებზე, რომელიც ნომინალურ გამოხატულებაში 2021-2022 წლებთან შედარებით გაზრდილია, ძირითადად გადასახადების მატების გავლენით. რაც შეეხება მის წილს შემოსულობებში, ეს მაჩვენებელიც წინა წლებთან შედარებით გაზრდილია. კერძოდ, 2022 წელს შემოსავლების წილი შემოსულობებში შეადგინდა 83.5%-ს, ხოლო 2021 წელს - 72.2%-ს. ვალდებულებების ზრდის მუხლის მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით, წილობრივად მთლიან შემოსულობებში შემცირებულია: 2023 წლის 11 თვეში ვალდებულებების ზრდით შემოსულობების მაჩვენებელი მთლიანი შემოსულობების 14.6%-ს შეადგენს, ხოლო 2022 წელს 14.9%-ს და 2021 წელს 26.1%-ს შეადგენდა. მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (წინა წლების მსგავსად), მთლიან შემოსულობებში არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლებით შემოსულობების ჯამური წილი მცირეა და 1.8%-ს შეადგენს, ეს მაჩვენებელი 2022 წელს 1.6%-ს, ხოლო 2021 წელს 1.8%-ს შეადგენდა.

2021-2023 წწ. 11 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით




დიაგრამა 8: 2021-2023 წწ. 11 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

შემოსავლების სახით იანვარ-ნოემბერში მიღებულია 16,870.2 მლნ ლარი, წლიური გეგმის 92.5%, ხოლო წინა წლის მაჩვენებელს 2,312.0 მლნ ლარით (15.9%-ით) აჭარბებს. რაც შეეხება შემოსავლების შესრულებას კომპონენტების დონეზე, გეგმის მიმართ, კარგი შესრულების დონით ხასიათდება გადასახადები და გრანტები, ხოლო სხვა შემოსავლების მაჩვენებელი მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოირჩევა.

11 თვეში მიღებული **საგადასახადო შემოსავლები 15,324.3** მლნ ლარს, წლიური გეგმის 91.7%-ს შეადგენს. გეგმის მიმართ ყველა გადასახადი, გარდა სხვა გადასახადისა (რომლის სახით 12 თვეში დაგეგმილია 50.0 მლნ ლარი, ფაქტობრივმა მაჩვენებელმა კი 26.7 მლნ ლარი შეადგინა⁴), კარგი შესრულებით ხასიათდება და 90.9%-93.7%-ის ფარგლებში მერყეობს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 2,111.2 მლნ ლარით (16.0%-ით) არის გაზრდილი, რაც განპირობებულია ძირითადად საშემოსავლო გადასახადისა და დღგ-ის მნიშვნელოვანი ზრდით (შესაბამისად, 20.2%-ით და 13.6%-ით).

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია, ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 707.4 მლნ ლარით (19.1%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, 11 თვეში დღგ-ის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 6,200.9 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 741.2 მლნ ლარით მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან - 664.0 მლნ ლარით, ხოლო იმპორტირებული პროდუქციიდან - 77.2 მლნ ლარით მეტი). წინა წელთან შედარებით, 13.5%-ით (243.1 მლნ ლარით) გაზრდილია აქციზი, ძირითადად, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის 224.0 მლნ ლარით ზრდის გავლენით (მ.შ. მსუბუქი ავტომობილებისა და თამბაქოს დაბეგვრიდან მიღებული, შესაბამისად, 102.5 მლნ ლარით (50.6%-ით) და 100.6 მლნ ლარით (13.0%-ით) მეტი შემოსავალი).

⁴ 2016 წელს სახაზინო კოდექსის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში (ძირითადად ეს ეხება საშემოსავლო გადასახადს), საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის შესრულება კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.



დიაგრამა 9: 2022-2023 წწ. 11 თვის გადასახადები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

გრანტების ფაქტობრივი მაჩვენებელი (263.9 მლნ ლარი) შესრულების მაღალი დონით გამოირჩევა და წლიური გეგმის 94.4%-ს შეადგენს, რაც ძირითადად დაკავშირებულია ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით მნიშვნელოვანი შემოსავლის მიღებასთან (წლიური გეგმის 95.7%) და საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილ მიზნობრივი დანიშნულების გრანტებთან, რომლის სახით 11 თვეში მიღებულია 75.8 მლნ ლარი (აღნიშნული სახის გრანტი გეგმით არ გაითვალისწინება და შესაბამისად, გავლენას ახდენს გრანტების ჯამური მოცულობის ზრდაზე). გარდა ამისა, ბიუჯეტში მიღებულია ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები 60.0 მლნ ლარის ოდენობით (წლიური გეგმის 42.9%) და საინვესტიციო გრანტები - 32.3 მლნ ლარის ოდენობით (წლიური გეგმის 81.6%).

სხვა შემოსავლების სახით 11 თვეში ბიუჯეტში მობილიზებულია 1,282.0 მლნ ლარი, წლიური გეგმის 102.6%, რაც ძირითადად დაკავშირებულია საკუთრებიდან შემოსავლების 35.4 მლნ ლარიანი (4.7%-იანი) გადაჭარბებით მიღებასთან. ძირითადი შემოსავალი (61.7%-ის ოდენობით) მიღებულია საკუთრებიდან, კერძოდ, პროცენტისა (297.6 მლნ ლარი) და დივიდენდის სახით (464.8 მლნ ლარი) სახით. სხვა შემოსავლების ჯამური მოცულობის 20.4% (261.1 მლნ ლარის ოდენობით) შემოსულია არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან.

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები (105.7 მლნ ლარი) შესრულების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება და წლიური გეგმის 52.8%-ს შეადგენს.

ფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებულია 264.0 მლნ ლარი, წლიური გეგმის 58.7%, რაც ძირითადად მოდის გაცემული სესხების დაბრუნებიდან მიღებულ სახსრებზე. წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით იგი გაზრდილია 139.5 მლნ ლარით (2.1-ჯერ).

ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობებმა 11 თვეში 2,937.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 89.5%-ია. საგარეო დაფინანსების წყაროდან თანხები ძირითადად შემოსულია საინვესტიციო კრედიტების სახით, 1,446.7 მლნ ლარის ოდენობით (წლიური გეგმის 90.9%), ხოლო საბიუჯეტო კრედიტების სახით მიღებულია 212.6 მლნ ლარი (წლიური გეგმის 73.3%).

	2023 წლის გეგმა	11 თვის შესრულება	შესრულება წლიურ გეგმასთან
ვალდებულებების ზრდა	3,281.0	2,937.4	89.5%
საგარეო საბიუჯეტო კრედიტები	1,881.0	1,659.3	88.2%
საინვესტიციო კრედიტები	290.0	212.6	73.3%
საბიუჯეტო კრედიტები	1,591.0	1,446.7	90.9%
საშინაო	1,400.0	1,278.1	91.3%


ცხრილი 2 : 2023 წლის 11 თვეში ვალდებულებების ზრდის მუხლით მიღებული შემოსულობა (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელს, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებულმა წმინდა შემოსულობამ 1,278.1 მლნ ლარი შეადგინა (წლიური გეგმის 91.3%).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2023 წლის იანვარ-ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მაჩვენებელმა 19,620.6 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 76.6%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე, რომელიც, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით, ხოლო წილობრივად გადასახდელებში გაზრდილია 2021 წელთან შედარებით და შემცირებულია 2022 წელთან შედარებით. კერძოდ, 2021 წლის 11 თვეში, ხარჯების წილი გადასახდელებში შეადგენდა 71.2%-ს, ხოლო 2022 წლის 11 თვეში - 78.2%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს, არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას, 2023 წლის იანვარ-ნოემბერში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელმა მთლიანი გადასახდელების 17.1% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის შესრულების მაჩვენებელმა - 1.2% და ვალდებულებების კლების შესრულების მაჩვენებელმა - 5.1%. 2022 წლის იანვარ-ნოემბერში მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო შესაბამისად, 15.2%-ის, 1.2%-ის და 5.4%-ის ოდენობებით, ხოლო, 2021 წლის 11 თვეში - 12.0%-ის, 1.7%-ის და 15.1%-ის ოდენობებით.


2021-2023 წწ. 11 თვის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით



დიაგრამა 10: გადასახდელების კომპონენტების შესრულებები 2021-2023 წლების იანვარ-ნოემბერში (მლნ ლარი)

ხარჯების შესრულებამ იანვარ-ნოემბერში შეადგინა 15,032.7 მლნ ლარი, წლიური გეგმის 89.0%, რაც 2022 წლის მაჩვენებელზე 1,782.3 მლნ ლარით (13.5%-ით) მეტია. აღნიშნული სხვაობა დაკავშირებულია, წინა წელთან შედარებით, ხარჯების ყველა კომპონენტის მაღალ შესრულებასთან (გარდა სხვა ხარჯებისა, რომელიც შემცირებულია 177.0 მლნ ლარით). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სხვაობის დიდი წილი მოდის სოციალური უზრუნველყოფის (724.4 მლნ ლარი) და პროცენტის (428.9 მლნ ლარი) მუხლებზე. წლიურ გეგმასთან მიმართებით შესრულების კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა პროცენტის (95.6%), სოციალური უზრუნველყოფისა (91.8%) და სუბსიდიების (91.1%) მუხლები. წლიურ გეგმასთან მიმართებაში შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება საქონელი და მომსახურების (89.2%), შრომის ანაზღაურების (86.3%), სხვა ხარჯებისა (85.2%) და გრანტების (77.7%) მუხლები.

პროცენტის მუხლის შესრულებიდან (1,148.8 მლნ ლარი) საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 657.7 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 491.1 მლნ ლარი. სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებიდან (6,210.5 მლნ ლარი) დიდი წილი მოდის მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე (4,528.0 მლნ ლარი), მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა (1,213.5 მლნ ლარი) და დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე (334.5 მლნ ლარი).



დიაგრამა 11: 2022-2023 წწ. 11 თვის ხარჯები მუხლების მიხედვით (მლნ ლარი)

არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულება (3,354.4 მლნ ლარი) წლიური გეგმის 84.8%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით განეული გადასახდელების დიდი წილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (1,614.9 მლნ ლარი), რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (374.4 მლნ ლარი), თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (198.3 მლნ ლარი), ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (195.0 მლნ ლარი), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (162.1 მლნ ლარი), ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე (130.7 მლნ ლარი) და იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობაზე (122.5 მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელი (238.6 მლნ ლარი) წლიური გეგმის 70.8%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით განეული გადასახდელები მოდის:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამებზე:
 - ✓ „სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება“ (პროგრამული კოდი 24 14) – 82.2 მლნ ლარის ოდენობით;
 - ✓ „საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება“ (პროგრამული კოდი 24 08) – 1.5 მლნ ლარის ოდენობით;
 - ✓ „ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU)“ (პროგრამული კოდი 24 19) - 5.8 მლნ ლარის ოდენობით.
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამებზე:
 - ✓ „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი 25 04) - 130.0 მლნ ლარის ოდენობით;
 - ✓ „მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა“ (პროგრამული კოდი 25 05) - 9.4 მლნ ლარის ოდენობით.
- დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში გაცემულ სესხებზე 9.7 მლნ ლარის ოდენობით.

ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება (994.9 მლნ ლარი) შესრულების დაბალი დონით ხასიათდება და წლიური გეგმის 89.0%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებლის დიდი წილი, 960.3 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

	2023 წლის გეგმა	11 თვის შესრულება	შესრულება წლიურ გეგმასთან
ვალდებულებების კლება	1,118.5	994.9	89.0%
საგარეო	1,075.6	960.3	89.3%
საშინაო	42.9	34.6	80.7%


ცხრილი 3: ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება 2023 წლის 11 თვეში (მლნ ლარი, %)

აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამული კოდეების გარდა, გადასახდელების იანვარ-ნოემბრის შესრულება მოიცავს **დამატებით 8 პროგრამულ კოდს**, რომლის ფარგლებშიც მოხდა ასიგნებების ათვისება, ესენია:

- „არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 31 05 23) – 4.1 მლნ ლარის ოდენობით;
- „საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 24 14 03) – 1.3 მლნ ლარის ოდენობით;
- „ეკონომიკური მონაწილეობა, საცხოვრებელი უზრუნველყოფა და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემებისათვის (KfW)“ (პროგრამული კოდი - 27 06 06) – 1.0 მლნ ლარის ოდენობით;
- „ბიომრავალფეროვნება და მდგრადი ადგილობრივი განვითარება საქართველოში (აქარის სატყეო სააგენტოს კომპონენტი) (KfW)“ (პროგრამული კოდი - 55 13 13) – 0.9 მლნ ლარის ოდენობით;
- „სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (პროგრამული კოდი - 56 00) – 1.2 მლნ ლარის ოდენობით;
- „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა“ (პროგრამული კოდი - 26 11) – 0.8 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ (პროგრამული კოდი - 63 00) – 0.8 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი“ (პროგრამული კოდი - 58 00) – 0.1 მლნ ლარის ოდენობით;

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების შესრულებას, იანვარ-ნოემბერში საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართა 2,136.0 მლნ ლარი, წლიური გეგმის 92.4%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა შეადგინა 791.1 მლნ ლარი, საიდანაც 326.3 მლნ ლარი წარმოადგენს კაპიტალურ ტრანსფერს, 446.0 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს და 18.8 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს. იანვარ-ნოემბერში დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე მიიმართა 334.5 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მოხდა შესაბამისად 343.6 მლნ ლარის, 52.8 მლნ ლარის და 8.0 მლნ ლარის ათვისება.

იანვარ-ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის⁵ მიხედვით შეადგინა 18,387.1 მლნ ლარი (წლიური გეგმის 88.2%), ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში:



დიაგრამა 12: 2023 წლის 11 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მლნ ლარი).

გამოყენებული მონაცემების წყარო:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია საქართველოს 2014-2023 წლების იანვარ-ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია 2022-2023 წლების იანვარ-ნოემბერში საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ.

⁵ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს 2014 (GFSM 2014) მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოგვიდგენს ინფორმაციას სამთავრობო ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით გაწეული დახარჯების შესახებ.

დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 11 თვის შემოსულობა	2022 წლის 11 თვის შემოსულობა	2023 წლის წლიური გეგმა	2023 წლის 11 თვის შემოსულობა	2023 წლის 11 თვის შემოსულობა / 2023 წლის წლიური გეგმა		2023 წლის 11 თვის შემოსულობა / 2022 წლის 11 თვის შემოსულობა	
					სხვაობა	%	სხვაობა	%-ური ცვლილება
შემოსულობები	15,595.1	17,435.1	22,170.9	20,177.3	-1,993.7	91.0%	2,742.2	15.7%
შემოსავლები	11,255.2	14,558.2	18,239.9	16,870.2	-1,369.7	92.5%	2,312.0	15.9%
გადასახდელები	10,199.3	13,213.1	16,710.4	15,324.3	-1,386.0	91.7%	2,111.2	16.0%
საშემოსავლო გადასახადი	3,151.4	4,233.3	5,486.4	5,090.3	-396.1	92.8%	857.0	20.2%
მოგების გადასახადი	934.6	1,759.2	2,000.0	1,818.0	-182.0	90.9%	58.7	3.3%
დღგ	4,420.4	5,459.6	6,804.0	6,200.9	-603.1	91.1%	741.2	13.6%
აქციზი	1,628.6	1,804.8	2,220.0	2,047.9	-172.1	92.2%	243.1	13.5%
იმპორტის გადასახადი	79.6	112.7	150.0	140.5	-9.5	93.7%	27.8	24.7%
სხვა გადასახადები	-15.3	-156.6	50.0	26.7	-23.3	53.5%	183.4	-117.1%
გრანტები	358.3	312.5	279.6	263.9	-15.7	94.4%	-48.6	-15.6%
სხვა შემოსავლები	697.6	1,032.6	1,250.0	1,282.0	32.0	102.6%	249.4	24.2%
არაფინანსური აქტივების კლება	163.7	156.6	200.0	105.7	-94.3	52.8%	-50.9	-32.5%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	110.6	124.5	450.0	264.0	-186.0	58.7%	139.5	112.0%
ვალდებულებების ზრდა	4,065.5	2,595.8	3,281.0	2,937.4	-343.6	89.5%	341.7	13.2%
საგარეო	4,499.9	1,542.1	1,881.0	1,659.3	-221.7	88.2%	117.2	7.6%
საშინაო	-434.4	1,053.6	1,400.0	1,278.1	-121.9	91.3%	224.5	21.3%
გადასახდელები	17,309.2	16,938.8	22,311.3	19,620.6	-2,690.7	87.9%	2,681.8	15.8%
ხარჯები	12,329.2	13,250.3	16,899.9	15,032.7	-1,867.3	89.0%	1,782.3	13.5%
შრომის ანაზღაურება	1,483.5	1,596.3	2,237.1	1,929.8	-307.3	86.3%	333.5	20.9%
საქონელი და მომსახურება	1,522.0	1,614.9	2,085.4	1,859.8	-225.7	89.2%	244.9	15.2%
პროცენტი	764.2	719.9	1,201.0	1,148.8	-52.3	95.6%	428.9	59.6%
სუბსიდიები	715.0	827.1	932.6	849.9	-82.7	91.1%	22.8	2.8%
გრანტები	683.9	859.3	1,370.0	1,064.1	-306.0	77.7%	204.8	23.8%
სოციალური უზრუნველყოფა	5,411.9	5,486.1	6,762.9	6,210.5	-552.4	91.8%	724.4	13.2%
სხვა ხარჯები	1,748.8	2,146.9	2,310.8	1,969.9	-340.9	85.2%	-177.0	-8.2%
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,080.7	2,569.4	3,955.7	3,354.4	-601.2	84.8%	785.0	30.6%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	291.4	207.0	337.2	238.6	-98.6	70.8%	31.6	15.3%
ვალდებულებების კლება	2,607.8	912.1	1,118.5	994.9	-123.6	89.0%	82.8	9.1%
საგარეო	2,554.1	877.3	1,075.6	960.3	-115.3	89.3%	83.1	9.5%
საშინაო	53.7	34.9	42.9	34.6	-8.3	80.7%	-0.2	-0.6%
ნაშთის ცვლილება (+ დაბრუნება / - გამოყენება)	-1,714.1	496.3	-140.4	556.6	697.0		60.4	

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 11 თვის შესრულება	2022 წლის 11 თვის შესრულება	2023 წლის წლიური გეგმა	2023 წლის 11 თვის შესრულება	2023 წლის 11 თვის შესრულება / 2023 წლის წლიური გეგმა		2023 წლის 11 თვის შესრულება / 2022 წლის 11 თვის შესრულება	
					სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსავლები	11,255.2	14,558.2	18,239.9	16,870.2	-1,369.7	92.5%	2,312.0	15.9%
გადასახადები	10,199.3	13,213.1	16,710.4	15,324.3	-1,386.0	91.7%	2,111.2	16.0%
გრანტები	358.3	312.5	279.6	263.9	-15.7	94.4%	-48.6	-15.6%
სხვა შემოსავლები	697.6	1,032.6	1,250.0	1,282.0	32.0	102.6%	249.4	24.2%
ხარჯები	12,329.2	13,250.3	16,899.9	15,032.7	-1,867.3	89.0%	1,782.3	13.5%
შრომის ანაზღაურება	1,483.5	1,596.3	2,237.1	1,929.8	-307.3	86.3%	333.5	20.9%
საქონელი და მომსახურება	1,522.0	1,614.9	2,085.4	1,859.8	-225.7	89.2%	244.9	15.2%
პროცენტი	764.2	719.9	1,201.0	1,148.8	-52.3	95.6%	428.9	59.6%
სუბსიდიები	715.0	827.1	932.6	849.9	-82.7	91.1%	22.8	2.8%
გრანტები	683.9	859.3	1,370.0	1,064.1	-306.0	77.7%	204.8	23.8%
სოციალური უზრუნველყოფა	5,411.9	5,486.1	6,762.9	6,210.5	-552.4	91.8%	724.4	13.2%
სხვა ხარჯები	1,748.8	2,146.9	2,310.8	1,969.9	-340.9	85.2%	-177.0	-8.2%
საოპერაციო სალდო	-1,074.0	1,307.9	1,340.0	1,837.5	497.5	137.1%	529.6	40.5%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	1,917.0	2,412.8	3,755.7	3,248.8	-506.9	86.5%	836.0	34.6%
ზრდა	2,080.7	2,569.4	3,955.7	3,354.4	-601.2	84.8%	785.0	30.6%
კლება	163.7	156.6	200.0	105.7	-94.3	52.8%	-50.9	-32.5%
მთლიანი სალდო	-2,991.0	-1,104.9	-2,415.7	-1,411.2	1,004.4	58.4%	-306.3	27.7%
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1,533.3	578.8	-253.2	531.3	784.4	-209.9%	-47.5	-8.2%
ზრდა	291.4	703.3	337.2	795.2	458.0	235.8%	91.9	13.1%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	496.3	0.0	556.6	556.6		60.4	12.2%
სესხები	291.4	207.0	337.2	237.1	-100.1	70.3%	30.1	14.5%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	1.5	1.5		1.5	
კლება	1,824.7	124.5	590.4	264.0	-326.4	44.7%	139.5	112.0%
ვალუტა და დეპოზიტები	1,714.1	0.0	140.4	0.0	-140.4	0.0%	0.0	
სესხები	108.4	123.5	450.0	262.4	-187.6	58.3%	138.9	112.5%
აქციები და სხვა კაპიტალი	2.3	1.0	0.0	1.6	1.6		0.6	60.6%
ვალდებულებების ცვლილება	1,457.7	1,683.7	2,162.5	1,942.5	-220.0	89.8%	258.8	15.4%
ზრდა	4,065.5	2,595.8	3,281.0	2,937.4	-343.6	89.5%	341.7	13.2%
საშინაო	-434.4	1,053.6	1,400.0	1,278.1	-121.9	91.3%	224.5	21.3%
საგარეო	4,499.9	1,542.1	1,881.0	1,659.3	-221.7	88.2%	117.2	7.6%
კლება	2,607.8	912.1	1,118.5	994.9	-123.6	89.0%	82.8	9.1%
საშინაო	53.7	34.9	42.9	34.6	-8.3	80.7%	-0.2	-0.6%
საგარეო	2,554.1	877.3	1,075.6	960.3	-115.3	89.3%	83.1	9.5%
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0	

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2023 წლიური გეგმა	2023 წლის 11 თვის შესრულება	2023 წლის 11 თვის შესრულება გეგმასთან მიმართებაში %
00 00	სულ ჯამი	22,311.3	19,620.6	87.9%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	77.5	67.2	86.7%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	63.7	56.2	88.2%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხებდებლო საქმიანობა	23.5	17.6	74.9%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა	7.9	7.3	92.9%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	32.4	31.3	96.7%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	32.4	31.3	96.7%
01 01 03 02	გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელება	0.1	0.03	66.3%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	12.0	9.4	78.5%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.6	0.5	85.7%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.1	1.0	92.7%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	9.3	7.2	77.2%
03 00	საქართველოს ბიზნესობმუდსმენის აპარატი	0.8	0.6	82.2%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	24.0	46.8	195.2%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	21.3	16.0	75.2%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	77.2	74.4	96.3%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	21.6	17.1	79.2%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1.6	1.8	107.6%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	12.7	11.7	91.7%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	41.2	43.8	106.3%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	5.8	4.6	79.3%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	16.1	13.2	81.7%
09 00	საერთო სასამართლოები	117.0	86.8	74.2%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	114.5	85.1	74.3%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	2.5	1.7	66.6%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	7.9	5.0	63.1%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.3	1.1	81.7%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.8	79.8%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, სანჯიხის, ტყიბულის, წყალტუბოს, ქიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1.3	1.1	90.6%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.2	1.0	83.5%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.8	74.3%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტიხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.9	82.1%

კოდი	დასახელება	2023 წლიური გეგმა	2023 წლის 11 თვის შესრულება	2023 წლის 11 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.0	0.8	84.5%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.3	1.2	86.3%
